



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030619188611419

05 / დეკემბერი / 2019 წ.

თბილისი #06-250/თ

“ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მერიისათვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 22 ნოემბრის #06-232/თ ბრძანებაში შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1“ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მერიისათვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 22 ნოემბრის #06-232/თ ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა)“ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს (შემდგომში-ცენტრი) სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონება სარგებლობაში უვადოდ, თანდართული დანართის შესაბამისად, გადაეცეს: სამტრედიის, წყალტუბოს, თერჯოლის, წალენჯიხის, ახალქალაქის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მერიებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების საჭიროებისათვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა(ა)იპ ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრისა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის საჭიროებისათვის.

2. ბრძანების დანართი და დანარჩენი პუნქტები უცვლელი დარჩეს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდამსულია
ელექტრონულად

პაატა იმნაძე